ხელშეკრულება №17/04/19-01
მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 17 აპრილი, 2019 წელი

ერთის მხრივ, შპს **„Bolero & Company"** (შემდგომში – დამკვეთი), მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ბექაურის სახით, და მეორეს მხრივ შპს „ქალაქპროექტი" (შემდგომში –შემსრულებელი), მისი გენერალური დირექტორის მანუჩარ მახათაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაო:
ქ. თბილისში, მელიქიშვილის გამზირი №5-ის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.03.018.018) სასტუმრო კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაციის მოზადება.
საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: არქიტექტურული, კონსტრუქციული პროექტი; კონსტრუქციული და არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
შემუშავებული პროექტით ათვისებულ უნდა იქნას მიწის ნაკვეთის განაშენიანებისა და გამოყენებისათვის კანონმდებლობით/შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული ფარგლების მაქსიმუმი.

არქიტექტურული პროექტი:
1. არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც გენერალური გეგმის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების შესახებ;
2. საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (1:500 და 1:1000);
3. ობიექტის სიტუაციური გეგმა წვრილ მასტაბში ქალაქის ინფრასტრუქტურის ჩვენებით მასშტაბი (1: 5000 ან 1:10 000);
4. ობიექტის გენერალური გეგმა მსხვილ მასშტაბში საჭიროების შემთხვევაში (1:200 ან 1:500)
5. დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია (ეგრეთ წოდებული რენდერები მაღალი რეზოლუციით);
6. დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი (1:50 ან 1:100):
7. დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ფუნქციონალური გეგმები სათავსების დანიშნულების მითითებით, მაშტაბი (1:50 ან 1:100):
8. დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის გრძივი და განივი ჭრილები, მასშტაბი (1:50 ან 1:100);
9. შენობა-ნაგებობის სახურავის გეგმები წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100) წყალგადამყვანების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10: ან 1:20) სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციპიკაციები (საჭიროების შემთხვევაში);
10. შენობის საევაკუაციო გეგმები მასშტაბი (1:50 ან 1:100).

კონსტრუქციული პროექტი:
1. კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერილი უნდა იყოს საპროექტო გადაწყვეტილებები, კონსტრუქციული გადაწყვეტილებების დასაბუთება/სათანადო ანგარიშები, დატვირთვების და საანგარიშო მონაცემების მითითებით;
2. კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
3. სამუშაოები და მასალები რაოდენობრივი სპეციპიკაციები;

1.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება

1.3 „დამკვეთი" უზრუნველყოფს „შემსრულებელს" სატრანსპორტო და დენდროლოგიის კვლევის მიწოდებას.

1.4 მხარეები ადასტურებენ, რომ შემსრულებლისგან მისადები მომსახურება მიზნად ისახავს მიღებული შედეგების შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში შეთანხმებას (დამტკიცებას). ამრიგად, ამ ხელშეკრულების